27/02/2026

MES 5 26 0000234724

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13.02.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი
სხდომის მდივანი: ციური დურული (XVI საკითხი)

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე-** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი**- შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი**- ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ვლადიმერ ადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

5. **ციური დურული**- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
6. **ქეთევან ნანობაშვილი**- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
7. **დავით კაპანაძე**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
8. **მზია წიკლაური**- შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
9. **ელიზბარ ელიზბარაშვილი**- ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
10. **ქრისტინე ახალაძე**- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
11. **ირინა ლობჟანიძე**- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
12. **ნარგული ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ანა ჯავახიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი:
კახი ყურაშვილი - ვიცე რექტორი;
მედეა ჭელიძე - ვიცე რექტორი;
ნინო სეფაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მანანა ვასაძე - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
პეტრე ბაბილუა - ფაკულტეტის დეკანი;
მანანა ხაჩიძე - მიმართლების ხელმძღვანელი;
მაგდა ცინცაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
არჩილ ელიზბარაშვილი - პროგრამის კოორდინატორი;
თამარ ჭელიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო ქიმერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;

შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:
ივანე ჯაგოდნიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნინო ჩიკვილაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, „ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მერაბ მიქელაშვილი - „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
თათია ღურცკაია, თამარ ხინიკაძე-გვარამია - „ბიზნესის ადმინისტრირების“ (241 კრედიტი) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები;
ირინე იაშვილი - „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 და 120 კრედიტი) ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი;
თემურ ყანდაშვილი - „ბიზნესის ადმინისტრირების“ (240 კრედიტი) ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
თინათინ იაშვილი - პროფესორი;
რატი ბურდიაშვილი - პროფესორი;
გიორგი ბაღათურია - პროფესორი;
მედეა ჭელიძე - პროფესორი;
გიორგი ცაავა - პროფესორი;
მაია ჩეჩელაშვილი - ასოცირებული პროფესორი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:
არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია ამაშუკელი - ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
ქეთი ცხადაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო დევიძე - ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი.

აკრედიტაციის ექსპერტები:
მეთიუ ჯონ კიჩინგი (Matthew John Kitching) (VI საკითხი)
ეკა ლეკაშვილი (VI, VIII, IX, X, XII, XII, XIII, XIV, XV საკითხები)
ბექა მარუაშვილი (VI საკითხი)
თამთა ცხოვრებაძე (VI საკითხი)
ალექსანდრე კალანდაძე (VI საკითხი)
სოკრატის კათსიკას (Sokratis Katsikas) (VII საკითხი)
გიორგი კუჭავა (VII საკითხი)
მარინა რაზმაძე (VII საკითხი)
თამთა ლეკიშვილი (VII საკითხი)
გიორგი მხეიძე (VII საკითხი)

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 241 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (რესულენოვანი, 240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი, 120 კრედიტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
10. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **კი**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს დამატებით განეხილა შემდეგი საკითხები:
1. "სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის №426005 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
2. "სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №902582 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
3. "სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 25 იანვრის №26045 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
4. "სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის№902567 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

5. "სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №140 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობები დამატებით განეხილა ზემოღნიშნულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების განხილვის საკითხი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. "სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის №426005 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. "სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №902582 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
3. "სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 25 იანვრის №26045 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
4. “სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის№902567 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
5. "სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №140 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 241 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (რუსულენოვანი, 240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
10. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
11. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

12. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი, 120 კრედიტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
13. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
14. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
15. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
16. "შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 16 იანვრის №32521 გადაწყვეტილების არარად ცნობის საკითხი;

საკითხის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა პირველი 5 საკითხი განეხილათ ერთი მოსმენის ფარგლებში. სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა განაცხადა თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

პირველი საკითხი: "სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის №426005 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

მეორე საკითხი: "სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №902582 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

მესამე საკითხი: "სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 25 იანვრის №26045 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

მეოთხე საკითხი: “სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის№902567 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

მეხუთე საკითხი: "სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №140 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს საბჭოსთვის მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ წარმოადგინა ინფორმაცია „მენეჯმენტის“ საბაკალავრო და „საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებების ცვლილებთან დაკავშირებით, კერძოდ თავდაცვის აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამებს შეეცვალოთ სახელწოდებები შემდეგნაირად: „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვროს, როგორც "თავდაცვის მენეჯმენტი", ხოლო "საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - "საერთაშორისო ურთიერთობები და სამხედრო დიპლომატია".

ასევე, ცენტრში წარმოდგენილ იქნა სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილი, რომელშიც დაწესებულება აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტმა განახორციელა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო და „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებების ცვლილება, კერძოდ, „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრა, როგორც „სპორტული რეაბილიტაცია და რეკრეაცია“, ხოლო „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - „სპორტული რეაბილიტაცია და რეკრეაცია“.
ასევე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ცენტრში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებამ შეცვალა „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და განსაზღვრა შემდეგნაირად: „სამოქალაქო სივრცითი არქიტექტურა“.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ცვლილებები შეეხო მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებების ფორმულირებებს. ცვლილებები არ განხორციელებულა საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებთა, სწავლის შედეგებთან და კვალიფიკაციასთან მიმართებით. ზემოაღნიშნულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ცენტრში მტკიცებულებებად წამოადგინეს აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები და დადგენილებები, რომელიც ეხება საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებების ცვლილებებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დეტალურად არის აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებების ცვლილებების საჭიროებები. აღნიშული დოკუმენტაცია კი ასევე ხელმისაწვდომია საბჭოს წევრებისთვისაც.

საბჭოს თავმჯდომარე, ლევან შავაძე დაინტერესდა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებებთან დაკავშირებით, ხომ არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 თებერვლის №55 - ე დადგენილებას: "2026-2027 სასწავლო წლისათვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდებით/სამაგისტრო გამოცდებით და ერთიანი

ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ".

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების მიზანი სწორედ საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებების მთავრობის დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას ემსახურება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის №426005 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, "სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის №426005 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: "თავდაცვის მენეჯმენტი";

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №902582 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, "სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №902582 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: "საერთაშორისო ურთიერთობები და სამხედრო დიპლომატია".

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ"

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 25 იანვრის №26045 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, "სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 25 იანვრის №26045 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სპორტული რეაბილიტაცია და რეკრეაცია“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №902567 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, "სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №902567 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სპორტული რეაბილიტაცია და რეკრეაცია“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "არქიტექტურის" საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №140 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, "სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "არქიტექტურის" საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №140 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სამოქალაქო სივრცითი არქიტექტურა“.

საბჭოს სხდომა დატოვა ქეთევან აფთარაშვილმა.

მეექვსე საკითხი: შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მეთიუ ჯონ კიჩინგმა (Matthew John Kitching) აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს პოზიტიური შეფასება. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ქართულენოვან სტუდენტებს, რომლებმაც დადებითად შეაფასეს საუნივერსიტეტო გარემო. ასევე, მან ხაზი გაუსვა აკადემიური პერსონალის ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში. მისი თქმით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან გარე დაინტერესებული მხარეები და დამსაქმებლებიც, თუმცა, მისი მოსაზრებით, უნივერსიტეტს უფრო მეტი ამბიცია უნდა ჰქონდეს დამსაქმებლებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მისი თქმით, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და სწავლის სტრატეგიები შესაბამისობაშია სტანდარტთან. ექსპერტებმა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა გასცეს უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილ კვოტასთან დაკავშირებით. დაწესებულება ფიქრობს, რომ პირველ ეტაპზე მიიღებს დიდი რაოდენობის სტუდენტებს და შემდეგ ეტაპობრივად შეამცირებს რაოდენობას, რაც ექსპერტების მოსაზრებებით უნდა განხორციელდეს პირიქით. ასევე დაწესებულებამ უნდა იზრუნოს პროგრამის უნიკალურობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების დასკვნაში მოცემულია 2 რეკომენდაცია, რომელთაგან ერთი ეხება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, მესამე საგნად მათემატიკის ჩაბარებას, რასაც დაწესებულება იზიარებს. უნივერსიტეტმა ასევე გაიზიარა საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციაც. დაწესებულების წარმომადგენელმა კონტიგენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტი არის დაგეგმილი 120 სტუდენტის მისაღებად, თუმცა, ინსტიტუცია პირველ წელს 60 სტუდენტის მიღებას აპირებს, 20 ქართველი და 40 უცხოელი. მეორე წელს ამ 60 სტუდენტს დაემატება 40 და მესამე წელს 20 სტუდენტი. პირველ წელს 60 სტუდენტის მიღება განაპირობა იმან, რომ უნივერსიტეტს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გარკვეული პერიოდი შეზღუდული ჰქონდა სტუდენტთა მიღება, ამიტომ დაწესებულებას სურდა პროგრამას მეტი შემოსავალი დაეგენერირებინა, რათა განვითარებისთვის გამოეყენებინა შემოსული ბიუჯეტი. თუმცა, მსჯელობის საფუძველზე უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ თანაბრად გადაანაწილოს სტუდენტთა რაოდენობა და ყოველ წელს პროგრამამ მიიღოს 40 სტუდენტი. ასევე, დაწესებულება იზიარებს ყველა რჩევას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:26
დასრულების დრო: 14:40
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება (ქართულ-ფრანგული)
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიორგი კუჭავამ, პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდებულია, სწავლის შედეგები სრულად შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს და იყოს სრულყოფილი და მიღწევადი მიმდინარე პროგრამის კონტექსტში. მისი თქმით, პროგრამასთან მიმართებით განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, თუმცა, ბოლო აკრედიტაციის შემდეგ რამდენიმე კურში არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგალითად არაფერი შეცვლილა ხელოვნური ინტელექტის სასწავლო კურსში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მოსაზრებით ხელოვნური ინტელექტის სასწავლო კურსი არის მდგრადი და სრულყოფილი, თუმცა, მათი მოსაზრებით სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სამი წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო გარკვეული ცვლილებები. ასევე, რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის დონეზე გააძლიეროს შიდა ხარისხის უზრუნველყოფა. ამისათვის აუცილებელია საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების სრულად ინტეგრირება ABET-ის შესაბამის პრაქტიკებთან; ქართულ-ფრანგულ პროგრამას ABET-ის ფორმალური აკრედიტაცია არ აქვს, მასთან შესაბამისობაში არის, თუმცა აკრედიტაცია არ აქვს, ამიტომ გაიცა რეკომენდაცია. ასევე, რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. ამ მიზნით, მოწვეული უცხოელი ლექტორების მიერ ინტენსიურ ფორმატში ჩატარებული მოდულებისთვის დაინერგოს

სწავლების შეფასებისა და კოლეგიური დაკვირვების უფრო მიზნობრივი მექანიზმები. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ მოწვეული უცხოელი პერსონალის მიერ განხორციელებულ კურსებთან დაკავშირებული უკუკავშირი სისტემატიურად არ მუშავდება და შესაბამისი შედეგები არ გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, სწორედ ამ მიზეზით გასცეს ექსპერტებმა რეკომენდაცია მოცემულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაგდა ცინცაძემ აღნიშნა, რომ სტანდარტის 1.2. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციაში მკაფიოდ არ არის მითითებული რომელი სწავლის შედეგია პროგრამის მიზნებთან შეუსაბამო. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სამი წლის განმავლობაში არ მომხდარა სწავლის შედეგების გადახედვა არაფერს ცვლის. ეს პროგრამა ქართულ-ინგლისური ენოვანი ABET პროგრამის ანალოგია პირველი სამი წელი და მეოთხე წელს უკვე თავს იჩენს გარკვეული ცვლილებები, რომლებიც უკვე ფრანგ პარტნიორებთან გაფორმებულმა მემორანდუმებმა გამოიწვია. ABET-ის ფუნდამენტალური სწავლის შედეგების ცვლილების ბოლო ფუნდამენტური განხილვა მოხდა 2017 წელს და 2019-20 წელს მიღებული სტუდენტთა სწავლის შედეგები დღესდღეობითაც აქტუალურია, ანუ 6 წლის განმავლობაში არაფერი არ შეცვლილა საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა. რაც შეეხება მე-5 სტანდარტს, საგანმანათლებლო სტანდარტით დაწესებულებას უკვე აქვს საუკეთესო პრაქტიკის მქონე შეფასების სქემა, რომელიც არის დადასტურებული ABET-ის აკრედიტაციის მიზნით. შესაბამისად, ახალი სქემის შემუშავების აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან აღნიშნული სქემა წარმატებით მუშაობს. დაწესებულებას დანერგილი აქვს სისტემა, რომელიც მოიცავს პირდაპირი და ირიბი შეფასების სისტემას. პირდაპირი შეფასების მექანიზმები ეფუძნება სპეციალურად შერჩეულ კომისიას. კომისიის მიერ ხდება გეგმის შედგენა, სადაც მითითებულია თუ რომელი კურსები უნდა იქნეს არჩეული, რომ მოხდეს კურსის შეფასება. პროგრამებში დაწესებულებას აქვს ჯგუფური პროექტი და წანამძღვარი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების უმაღლეს დონეზე გასვლის მექანიზმს. სწორედ ეს პრაქტიკა დაინერგა აღნიშნულ პროგრამაშიც, რადგან დაწესებულებისთვის წარმატებული პრაქტიკა იყო. რაც შეეხება სხვა კურსების შეფასებას, ეს ხდება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მექანიზმების საშუალებით. ერთ-ერთი გამოიხატება იმაში, რომ დაწესებულებას აქვს გამოკითხვის მექანიზმი და სტუდენტებთან შეჯერებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულებას გარკვეული სურათი აქვს. მაგალითად, სტუდენტების უკუკავშირის საფუძველზე მოხდა იმის გამოვლენა, რომ შეფასების სისტემები ერთმანეთს არ შეესაბამება. მათ აქვთ 20 ქულიანი სისტემა, ხოლო დაწესებულებას - 100-იანი. ამ 20 ქულის 5-ზე გამრავლება არ შეესაბამება იმ ცოდნის აღნიშვნის მაგალითს, რომელსაც ფრანგული მხარე მოიაზრებს. ამის გამო მოხდა ამ კონკრეტული სქემის გადახედვა, რომლის ჩაშენება სამომავლო ციკლში მოხდება. რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას, მან აღინიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასება და კურსის შეფასება არის სხვადასხვა რამე, რომელიც არ უნდა იყოს არეული ერთმანეთში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაქსიმ იავიჩმა კითხვით მიმართა ექსპერტებს პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა რომელი მიზანი არ შეესაბამებოდა პროგრამის სწავლის შედეგს.

ექსპერტა ჯგუფის წევრმა, გიორგი კუჭავამ აღნიშნა, რომ არ ჩანს რამდენად ხედავს სტუდენტი თავის სამართლებრივ მხარეს პროფესიული საქმიანობისთვის. კურსდამთავრებული უნდა აცნობიერებდეს თავის პროფესიულ, ეთიკურ, სოციალურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამას დარგობრივ სტანდარტებთან არანაირი აცდენა არ აქვს, შესაბამისად, შესაძლებელია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გადავიდეს რჩევაში. რაც შეეხება სტანდარტის 5.1 და 5.3 კომპონენტებთან გაცემულ რეკომენდაციებს, ორივე მათგანში საუბარია ზოგადად გაძლიერებაზე და შესაბამისად მას აინტერესებს, ეს საკითხები რატომ არ არის რჩევების სახით წარმოდგენილი დასკვნაში.
გიორგი კუჭავამ აღნიშნა, რომ შესაძლებელია მათი რჩევაში გადატანა, რადგან უნივერსიტეტს ნამდვილად აკმაყოფილებს სტანდარტს აღნიშნული მიმართულებით, თუმცა აუცილებელია გაძლიერება.
დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 13 თებერვალს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:52
დასრულების დრო: 14:59
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - **2032 წლის 31 დეკემრამდე.**

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - **2032 წლის 31 დეკემრამდე.**

მერვე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 241 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 241
სტატუსი: აკრედიტებული

მეცხრე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (რესულენოვანი, 240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: რუსული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

მეათე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: აკრედიტებული

მეთერთმეტე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: აკრედიტებული

მეთორმეტე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი, 120 კრედიტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

მეცამეტე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 40
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.
თვითაცილებისსაფუძველსწარმოადგენდაშრომითიურთიერთობადაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში სრულფასოვნად იყო ასახული ინფორმაციას რეკომენდაციებისა შესრულებასთან დაკავშირებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცესის, რომელიც აღწერილია ცალკეულ მარეგულირებელში, ბოლო ეტაპი, რომელიც ეხებოდა აღნიშნული ცვლილებების დამტკიცებას აკადემიურ საბჭოზე, არ იყო წარმოდგენილი. აღნიშნულის გათვალისწინებით პირველ პროგრამაზე ყველა გაცემული რეკომენდაცია შესრულდა გარდა მეოთხე და მეხუთე რეკომენდაციებისა. მე-4 რეკომენდაცია ეხებოდა ლიტერატურის განახლებას. დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი სია, სადაც განახლდა ლიტერატურა, თუმცა არ არის ლიტერატურა განახლებული „ფინანსური და საბანკო საქმიანობის ნორმატიული რეგულირების“ კურსში, ხოლო, „რეკლამა და სტიმულირების“ კურსში წარმოდგენილია ინგლისურენოვანი სასწავლო მასალა. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური წერის სტანდარტების გაძლიერებას საბაკალავრო ნაშრომში და

ანგარიშში წარმოდგენილია, რომ პროგრამაში ჩაერთო სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი, რომელიც სავალდებულო გახდა ყველა ქართულენოვანი პროგრამისთვის. ექსპერტმა დაამატა, ინსტიტუცია ვარაუდობს, რომ აღნიშნული გააძლიერებს ამ საკითხს, რასაც თავადაც ეთანხმება, თუმცა მათ არ შეეძლოთ შედეგების შეფასება, ამიტომ, რეკომენდაციის შესრულება დამაჯერებლად ვერ აისახა დოკუმენტში. რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამაშიც ძირითადი რეკომენდაციები შესრულებული აქვს დაწესებულებას გარდა პირველი, მეექვსე და მეშვიდე რეკომენდაციებისა. რეკომენდირებული იყო, რომ ჩატარებულიყო შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა, დაწესებულებამ წარმოადგინა „შრომის ბაზრის კვლევა 2025“, თუმცა მაში არ იყო მოცემული ის ინფორმაცია, რომელიც შრომის ბაზარს შეიძლება დაუკავშირდეს. ამიტომ, რეკომენდაციის შესრულება მეტწილად შეფასდა. შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდებოდა ლიტერატურის განახლებას. კურსების უმრავლესობაში რეკომენდაცია შესრულდა, თუმცა „ბიზნესის საგადასახადო რეგულირებაში“, „მარკეტინგულ კომუნიკაციასა და „სადაზღვეო საქმის საფუძვლებში“ რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული, ხოლო „ინოვაციური ბიზნესის“ კურსში 2027 წლის ლიტერატურაა მითითებული. შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდებოდა აკადემიური წერის გაძლიერებას საბაკალავრო ნაშრომში. ამ შემთხვევაში ანგარიშში მითითებულია, რომ შემოტანილი არის ზეპირი და წერითი ელემენტები, რასაც ეთანხმება ექსპერტი, თუმცა ზემოთ აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე რეკომენდაციის შესრულების ხარისხი მის მიერ მეტწილად შეფასდა. „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ყველა რეკომენდაცია შესრულებულია. „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, გარდა მეოთხე რეკომენდაციისა და ეს რეკომენდაცია უკავშირდება ლიტერატურის განახლებას. ერთი და იგივე ლიტერატურა იყო შეთავაზებული ქართულენოვან და ინგლისურენოვან პროგრამებზე, რაც არ არის მართებული. ამასთან არსებობს ინგლისურ ენაზე ლიტერატურა, რომელიც ბიზნესის სფეროში მოწინავეა და უნივერსიტეტს შეუძლია ის გამოიყენოს სწავლებისას. „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი, 120 კრედიტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ყველა რეკომენდაცია შესრულებულია გარდა მეშვიდე რეკომენდაციისა, რომელიც დაკავშირებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების საკითხთან. რაც შეეხება „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ პირველ პროგრამასთან მიმართებით იყო რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ლიტერატურის განახლებას. „ფინანსური და საბანკო საქმიანობის ნორმატიული რეგულირებისა“ და „რეკლამა და სტიმულირების“ კურსებში ინგლისურენოვანი ლიტერატურაა მითითებული. პირველ შემთხვევაში დაწესებულებას აქვს ჩვეული პრაქტიკა, პერმანენტულად აქვს ვალდებულება სასწავლო ლიტერატურის განახლების და დარგის უახლესი ცოდნის განვითარების და ტენდენციების თვალყურის მიდევნება და ლიტერატურის შევსება და განახლება, ამის გათვალისწინებით არის დადგენილი პრაქტიკა რიდერების გაკეთება იმ ინტერვალის გათვალისწინებით, რაც დადგენილია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ლიტერატურის განახლება და ბიბლიოთეკის შევსება. სანამ ეს მოხდება რიდერებით ივსება საჭირო ინფორმაცია. რაც შეეხება ინგლისურენოვან გამოცემას, აქაც ქართულენოვანი რიდერები არის სილაბუსებში ანალოგებად. წინაპირობის დაზუსტებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ყველა საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულოა უცხოენოვანი ბლოკი, რომელიც გადის B2.2 დონეზე და შესაბამისად ამ კონკრეტული ლიტერატურის გაცნობა სტუდენტისთვის სირთულეს არ წარმოადგენს. ამავე პროგრამაში იყო საუბარი საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტების დაცვის გაძლიერებაზე.

შესაბამისი დადგენილების თანახმად, უნივერსიტეტში შემოღებულია სავალდებულო „სახელწიფო ენის“ სპეციალური კურსი, რომელიც ამას უზრუნველყოფს. შემდეგ პროგრამაში საუბარი იყო შრომის ბაზრის კვლევაზე. რეკომენდაციების შესრულება მოხდა კლასტერულად, შესაბამისად, ცოტა ზედაპირულად იყო წარმოდგენილი ანგარიში ამ პროგრამაზე შრომის ბაზართან მიმართებით, ამიტომ ამ რეკომენდაციას ეთანხმება დაწესებულება. „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო პროგრამაზე რეკომენდებული იყო ლიტერატურის განახლება. ამ პროგრამაზეც რიდერების პრაქტიკა აქტიურად მოქმედებს და ლიტერატურის შეძენის ღონისძიებები აქტიურად გრძელდება. ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი, 120 კრედიტი) სამაგისტრო პროგრამაზე საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით იყო გაცემული რეკომენდაცია. არგუმენტირებულში დაწესებულებას დეტალურად აქვს წარმოდგენილი ის ღონისძიებები, რომლებიც ჩატარდა ამ სასწავლო წლის განმავლობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:21
დასრულების დრო: 15:26

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და მიიჩნია რომ დაწესებულებამ შეასრულა შემდეგი ორი რეკომენდაცია: 1) დარგის უახლესი მიღწევების ასახვის და სტუდენტებისთვის უახლესი ცოდნის მიწოდების მიზნით რეკომენდებულია, საჭირო ლიტერატურის განახლება. 2. რეკომენდებულია, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის გაძლიერება საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 241 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 241 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (რესულენოვანი, 240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (რესულენოვანი, 240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ქართულენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტიანი) საბაკალავრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი, 120 კრედიტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი, 120 კრედიტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეთოთხმეტე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნეს ანალიტიკა
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: აკრედიტებული

მეთხუთმეტე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნეს ანალიტიკა
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში მითითებული არ არის ცვლილებების დამტკიცების შესახებ ინფორმაცია. პირველ პროგრამასთან მიმართებით მე-3, მე-4 და მე-5-ე რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული. მეტწილად შესრულდა მე-6 და მე-8 რეკომენდაცია და არ შესრულდა 1-ლი, მე-2 და მე-7 რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაციაში რეკომენდებულია, პროგრამის აღწერილობების განახლება ისე, რომ კრედიტების ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 180-ს. ეს უზრუნველყოფს თანხვედრას პროგრამის ტექსტურ ნაწილში და ცხრილებში მითითებულ არჩევითი კურსების კრედიტებს შორის. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის სტრუქტურა, სადაც მითითებულია, რომ სასწავლო კომპონენტები 150 ECTS კრედიტია, ჰუმანიტარულ-სოციალური ბლოკისთვის 12, სტიმ ბლოკისათვის - 6, ხოლო არჩევისთვის რჩება 12 კრედიტი. ამასთან არჩევით კურსებზე კურიკულუმში მითითებულია 168 ESTS კრედიტი პროგრამის აღწერილობით ნაწილში განსაზღვრული კრედიტების ჯამური რაოდენობა 180 კრედიტი არ არის შესაბამისობაში. ასევე, პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის მითითებულია წინაპირობები, რომლებიც თავად პროგრამაში არაა წარმოდგენილი. კერძოდ, სასწავლო კურსების ჩამონათვალში არ გვხვდება "ინგლისური ენა III-VI“. ამ შემთხვევაში ინსტიტუციის თვალსაზრისი იყო, რომ ამ ტიპის სასწავლო კურსები პროგრამაში არ არის შეთავაზებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, პროგრამის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ძირითად ნაწილში დაწესებულება სთავაზობს სასწავლო კურსს ინგლისური ენა VI-I-ში B2.2-ით, კოდით 3213, ხოლო არჩევითში ინგლისური ენა 5 შესაბამისი კოდებით და ინგლისური ენა 4. ეს რეკომენდაცია გაიცა პროგრამის სტრუქტურის ფარგლებში და უნდა მოიძებნოს ტექნიკური ხერხი რეგისტრაციისას წინაპირობების გასაფილტრად პროგრამისთვის. ამასთან, პროგრამის კურიკულუმში უნდა აისახოს წინაპირობების რუკა. შემდეგი რეკომენდაცია დაკავშირებული იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან. რეკომენდებულია დეტალური ინფორმაციის მითითება. პროგრამის ჩანაწერის მიხედვით აკადემიური რეგისტრაციის პირველ საფეხურზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდით, მაგრამ არ არის მითითებული ერთიანი ეროვნული საგნების, ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის, ასევე შიდა და გარე მობილობის შესახებ, სწავლის გაგრძელების შესახებ ინფორმაციები. მეოთხე კომპონენტში რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოიპოვოს წვდომა ისეთ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეიცავს ფინანსურ და/ან ეკონომიკურ ინფორმაციას, უპირატესად საერთაშორისო ბაზრების შესახებ. ინსტიტუციამ წარმოადგინა ინფორმაცია, სადაც ნათელია, რომ საერთაშორისო ბაზებზე წვდომა აქვს დაწესებულებას, თუმცა აქ საუბარი იყო ანალიტიკის ნაწილზე, სადაც შესაბამის ბაზებზე წვდომა არ დასტურდება. რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა რეგულაციის ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობითი ნაწილის გადახედვა. ამ შემთხვევაში ანგარიშის მიხედვით მოცემულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში ეს აისახა, თუმცა, პროგრამაში არ იყო ასახული სად შეუძლია სტუდენტს სწავლის გაგრძელება და დასრულება. ეს ნაწილი აუცილებელია ნათლად იყოს წარმოდგენილი. ინგლისურენოვან პროგრამასთან მიმართებითაც იგივე რეკომენდაციებია გაცემული და მსგავსი კომენტარები აქვს დაწესებულებას წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით დაბნეულობას ჰქონდა ადგილი, რადგან ზუსტად არის დალაგებული 180 კრედიტი და გაწერილიც არის დეტალურად. ერთადერთი ხარვეზი რაც იყო

არის ის, რომ ექსპერტები დაეყრდნენ უშუალოდ პროგრამის განაწილებას. მისი თქმით ის ფაქტი რომ პროგრამაში მითითებულია პროგრამის არჩევით საგნებში 168 კრედიტი არ ნიშნავს იმას, რომ, რომ ყველა უნდა გაიაროს სტუდენტმა. ამასთან მიმართებით არის გრაფა, რომელიც არკვევს ამ 168 კრედიტიდან რამდენი უნდა გაიაროს სტუდენტმა სპეციალობის მიხედვით. შესაბამისად, ნათელი და გამჭვირვალეა ყველაფერი. ინგლისურ ენასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით მან აღინიშნა, რომ ინგლისურ ენას აქვს წინაპირობა, უბრალოდ მას ჰქვია ინგლისური ენის ბლოკები, რადგან ინგლისური ენა სპეციალურად ერთი კონკრეტული საგნისთვის არ კეთდება თუ ამის აუცილებლობა არ არსებობს. საჭიროება არსებობს, მაგალითად, ბიზნეს ადმინისტრირების კურსზე არის როგორც General English, ისე პროფესიული ინგლისური. პირველი მათგანი ბაკალავრის საფეხურზე თითქმის ყველას მიეწოდება. იქიდან გამომდინარე, რომ ელექტრონულად მიმდინარეობს რეგისტრაცია, გაკეთდა კონკრეტული საგნების ბლოკი და რომელი დონეც დაძლეული ჰქონდა ინგლისურ ენაში სტუდენტს ამის შესაბამისად, ის რეგისტრაციის დროს აღარ შეფერხდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინაპირობების ბლოკი დაწესებულებას აქვს 2018 წლიდან და საკმაოდ ეფექტურად მუშაობს. დანარჩენ შემთხვევაში დაწესებულებაში არის სპეციალური ინგლისური კურსები. ასევე რეკომენდებული იყო, დეტალური ინფორმაციის მითითება ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნების, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის, ასევე, შიდა და გარე მობილობის პროგრამის მეშვეობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ. ასევე რეკომენდებულია დეტალური ინფორმაციის ჩართვა შიდა და გარე მობილობის პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა აღნიშნულს, მაინც გაწერა საგნები და წინაპირობები, თუმცა, რეკომენდაცია მაინც დარჩა. ბიბლიოთეკის რესურსებთან დაკავშირებით მან აღინიშნა, რომ თუ ბიბლიოთეკაში დაფიქსირდება რაიმე ფასიან საერთაშორისო ბაზაზე წვდომა სტუდენტის მხრიდან, აუცილებლად იქნება დაკმაყოფილებული, რადგან ამ საკითხისთვის არის გამოყოფილი ბიუჯეტი. მუდმივი ბაზა იმიტომ არ არის, რომ შესაძლებელია ძალიან დაბალი იყოს მოთხოვნა და დაწესებულებას ტყუილად უწევდეს რესურსის დახარჯვა, შესაბამისად მოთხოვნისამებრ რეგულირდება წვდომა. გარკვეულ დონემდე ისედაც აქვთ სტუდენტებს ბაზებთან წვდომა, თუმცა თუ ლიმიტს ზევით არსებულ ბაზასთან სურს სტუდენტს წვდომის მიღება, ამას აუცილებლად აფინანსებს დაწესებულება. ბოლო რეკომენდაციის თანახმად, რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა რეგულაციის ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობითი ნაწილის გადახედვა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსად არ არის მითითებული, რომ შესაბამისობაში მოყვანილი არ არის. საბოლოო ჯამში, დაწესებულება მიიჩნევს, რომ მან შეასრულა ყველა რეკომენდაცია.

ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის დროს ხდება ინფორმაციის გამოთხოვა, თუმცა, რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვისას დაწესებულება მობილიზებულია მაქსიმალურად წარმოადგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, შესრულდა თუ არა რეკომენდაციები. ამასთან, ბევრი ტექნიკური ხარვეზია. ასევე, არ არის მითითებული 180 კრედიტიანი პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრატურაზე გაგრძელების საშუალება ექნება თუ არა სტუდენტს, რადგან მაგალითად, მაგისტრატურის 60 კრედიტიანს არ აქვს გაგრძელების შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადაც სტუდენტი ნახულობს 180 კრედიტის განაწილებას, იქ ყველაფერი სწორად არის მითითებული. იგი ექსპერტს ეთანხმება, რომ უნივერსიტეტის უფრო მეტი მზაობა უნდა ჰქონდეს იმისა, რომ რაც შეიძლება ნათლად წარმოაჩინოს თავისი განხორციელებული ქმედებები წარმოების დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტს ბოლო რეკომენდაციასთან მიმართებით. მას სურდა მეტი კონკრეტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით.
ეკა ლეკიშვილმა განმარტა, რომ წინა ვიზიტის დროს მოხდა 180 და 60 კრედიტიანი პროგრამების ჩაწერის შესაძლებლობა, რაც იმ პერიოდში დებულებებში ასახული არ იყო, თუმცა, არც ახლა აუსახავს დაწესებულებას. შესაბამისად შეფასდა მეტწილად.
ციური დურულმა ასევე სთხოვა ექსპერტებს წინაპირობებთან დაკავშირებული რეკომენდაციის განმარტება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინაპირობებთან დაკავშირებით ჩანაწერები არ იყო ვრცლად წარმოდგენილი. ბაკალავრის საფეხური კი მოითხოვს ყველაფრის დეტალურად გაწერას, რადგან აბიტურიენტმა შეიძლება არ იცოდეს სამართლებრივი დადგენილებები და გამოიწვიოს სტუდენტის დაბნევა.
საბჭოს წევრი ციური დურული, ასევე, დაინტერესდა 180 კრედიტთან მიმართებით არსებული რეკომენდაციის დატოვების მიზეზზე, რადგან დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს 180 კრედიტის დაგროვების გზა.
ექსპერტმა ეკა ლეკიშვილმა განმარტა, რომ ტექსტი და შინაარსი არ ემთხვევა ერთმანეთს.
დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტა, რომ აბიტურიენტი აქამდეც ნახულობდა შესაბამის გვერდზე თუ რომელი საგნის ჩაბარებით შეუძლია მოხვდეს კონკრეტულ ფაკულტეტზე. შესაბამისად, ამ რეკომენდაციის არსი მისთვის გაუგებარია, თუმცა, გაიზიარა დაწესებულებამ და მიუთითა საგნები, მაგრამ რეკომენდაცია მაინც ძალაში დარჩა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:10
დასრულების დრო: 16:30
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეთექვსმეტე საკითხი: "შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 16 იანვრის №32521 გადაწყვეტილების არარად ცნობის საკითხი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა საბჭოს მდივანმა, ვაჟა კელიხაშვილმა, საფუძველი - შრომითი ურთერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის მოვალეობა შეასრულა ციური დურულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს დაეყენებინა შუამდგომლობა.
ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ შუამდგომლობა ეხება "შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 16 იანვრის №32521 გადაწყვეტილების არარად ცნობის საკითხს.
მისი თქმით, პილოტის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო დაწესებულება აკრედიტაციის მინიჭებამდე ახორციელებდა ავტორიზებულ რეჟიმში, ამიტომ ვადის გაგრძელების შუამდგომლობის საკითხი აკრედიტაციის საბჭოს ნაცვლად უნდა განეხილა ავტორიზაციის საბჭოს. ამიტომ, "შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 16 იანვრის №32521 გადაწყვეტილება უნდა იქნას ცნობილი არარად, რადგან განიხილა არაუფლებამოსილმა საბჭომ.
ცენტრის წარმომადგენელმა აქვე დააზუსტა, რომ ამით საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებულ სტუდენტებს პრობლემა არ შეექმნებათ, რადგან ადმინისტრაციულ წარმოებაში მყოფ "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვან საბაკალავრო რპოგრამას, აკრედიტაციის საბჭომ, 2026 წელის 06 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შეიყვანა 2025 წლის 31 დეკემბერს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო

სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 16 იანვრის №32521 გადაწყვეტილების არარად ცნობის საკითხს.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, "შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 16 იანვრის №32521 გადაწყვეტილება არარად იქნა ცნობილი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 13 თებერვლის 16:45 სთ-ზე.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე